

## კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

წინამდებარე კონფიდენციალობის განაცხადი ("განაცხადი"), რომელიც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს, არეგულირებს საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის პორტალზე [www.photographers.ge](http://www.photographers.ge) (შემდგომში "პორტალი") თქვენი პირადი ინფორმაციის გამოყენებასა და შეგროვებას. ვებგვერდის გამოყენებით ეთანხმებით თქვენი პირადი ინფორმაციის შეკრებას, გამოყენებასა და გამჟღავნებას მოცემული განაცხადის შესაბამისად, რომელიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. განაცხადთან მიმართებაში კითხვებზე დაუკავშირდით ვებგვერდის დახმარების ჯგუფს.

### 1. მომხმარებლები

ეს საიტი გამიზნულია სრულწლოვანი მომხმარებლებისთვის. 14-დან 18 წლამდე ასაკის მომხმარებლებს ვთხოვთ მიმართონ მშობლებს ან კანონიერ მეთურვეებს საიტზე შესვლისთვის ნებართვის მისაღებად.

14 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მათი მშობლების ან კანონიერი მეთურვეების საყურადღებოდ:

14 წლამდე ასაკის ბავშვებისგან პორტალი შეგნებულად არ აგროვებს ინფორმაციას. თუ თქვენ ხართ 14 წლამდე ასაკის, თქვენ არ უნდა გამოიყენოთ ეს საიტი. გთხოვთ ნუ გაგზავნით პორტალზე რაიმე სახის პერსონალურ ინფორმაციას, მათ შორის, ემაილს, სახელს ანდა საკონტაქტო ინფორმაციას. პორტალთან დაკავშირება შეგიძლიათ მხოლოდ თქვენი მშობლების ან კანონიერი მეთურვეების მეშვეობით.

### 2. შეგროვებული ინფორმაციის ტიპები

პორტალზე თქვენი სტუმრობისას, ჩვენ ვკრებთ ძირითად არაპერსონალურ ინფორმაციას, როგორცაა ინტერნეტ-პროტოკოლის ("IP") მისამართი, ბროუზერის ტიპი და ოპერაციული სისტემა. ინფორმაციის ეს ტიპი არ იძლევა თქვენი პერსონალური იდენტიფიცირების საშუალებას. პორტალზე დარეგისტრირებისას ჩვენ ასევე შესაძლოა შევკრიბოთ თქვენს მიერ მიბმული პერსონალური ინფორმაცია, როგორცაა თქვენი სახელი, მისამართი, ემაილი, საკრედიტო ბარათის ნომერი და ქვეყანა თქვენი წარმომავლობის მიხედვით ("სარეგისტრაციო ინფორმაცია"). ჩვენ ასევე შესაძლოა შევაგროვოთ არასარეგისტრაციო ინფორმაცია ჩვენი მომხმარებლებისგან, მათ შორის, პორტალზე აქტივობების და ჩამოტვირთვების რაოდენობა, ცვლილებები პროფილსა და შინაარსში. პორტალი იყენებს გარე კომპანიას თქვენი საკრედიტო ბარათების საპროცესინგო მომსახურების განსახორციელებლად, რაც, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, მოიცავდეს მესამე მხარის მიერ თქვენი პერსონალური ინფორმაციის შენახვას, როგორც არის საკრედიტო ბარათის ნომერი.

### 3. მესამე მხარეები

ჩვენს პორტალზე შეძენის განხორციელებისთვის პორტალი იყენებს მესამე მხარეს, როგორცაა ლიბერთი ბანკი. დამატებით, ჩვენი პორტალი დროდადრო შეიძლება შეიცვალოს ბმულს სხვა საიტებზე. თუ დააჭერთ ამ ბმულებს, თქვენ დატოვებთ პორტალს და ჩვენ აღარ ვაგებთ პასუხს თქვენი პერსონალური ინფორმაციის შინაარსსა და დაცვაზე სხვა საიტის გამოყენებისას. ამ საიტებს შესაძლოა ჰქონდეთ საკუთარი კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, რითაც რეგულირდება თქვენი პერსონალური ინფორმაციის შეგროვება და შენახვა. მათ შესაძლოა, შეაგროვონ ინფორმაცია, როგორცაა თქვენი სახელი, ემაილის მისამართი, IP მისამართი, ბროუზერის მახასიათებლები და საკრედიტო ბარათის ნომერი. ეს "განაცხადი" არ არეგულირებს მესამე მხარის - გარე საიტების მიერ განხორციელებულ, შენახულ და გამოყენებულ პერსონალურ ინფორმაციას. გთხოვთ გაეცნოთ მესამე პირების საიტების კონფიდენციალურობის განაცხადებს, ვინაიდან ეს დაკავშირებულია თქვენი პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან.

### 4. როგორ გამოიყენება თქვენი ინფორმაცია

პორტალმა შეიძლება გამოიყენოს თქვენი პერსონალური ინფორმაცია ამგვარად:

- \* შეამოწმოს მომხმარებლის იდენტურობა უსაფრთხოების მიზნით
- \* შექმნას და წარმართოს თქვენი წევრობის ანგარიში
- \* განახორციელოს თქვენი ტრანზაქციები
- \* უზრუნველყოს მომხმარებლის მომსახურება
- \* წარმოადგინოს სერვისები ან შეთავაზებები, რამაც შეიძლება დაგაინტერესოს

თვალყური ადევნოს მომხმარებლის აქტივობებს, ჩამოტვირთვებს, პროფილში განხორციელებულ ცვლილებებს და პორტალზე წევრობას.

დაგიკავშირდეთ თქვენი ტრანზაქციების, ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების მიზნით

ამოქმედოს ინტერაქტიული ფუნქციები, მაგ. სოციალური ქსელი და ფორუმი

ჩვენ ასევე შესაძლოა, გარდავქმნათ თქვენი ინფორმაცია ანონიმურ ბაზად, რაც დაგეხმარება ვებსაიტის ტრაფიკის მონიტორინგში (თვალყურის დევნებაში).

მაგალითად, ჩვენ ასევე შესაძლოა, გამოვიყენოთ ჩვენთვის გამჟღავნებული პერსონალური ინფორმაცია, რათა დაგეხმაროთ ვებგვერდის გამოყენებისას წარმომობილი ტექნიკური სირთულეების გადაჭრაში. ჩვენ შესაძლოა, ვაუზუიაროთ ჩვენს მიერ შეგროვებული თქვენი პერსონალური და დემოგრაფიული ინფორმაცია მესამე მხარეს - მომსახურე ორგანიზაციას.

### 5. თქვენი პერსონალური ინფორმაციის დაცვა

ვაცნობიერებთ, რომ თქვენი კონფიდენციალურობის დაცვა თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც, პორტალი გაბრძნობთ, რომ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას დაცვას რამდენიმე გზით. ჩვენი სერვერები ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი უფლებებით

აღჭურვილი და შერჩეული პერსონალისთვის. თქვენი რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია დაცულია ინდივიდუალური პაროლით და მომხმარებლის ID -ით და თქვენი პაროლი დაშიფრულია. თქვენ არ უნდა გაუმყდევნოთ პაროლი ვინმეს და ყოველთვის გახსოვდეთ, რომ საზიარო კომპიუტერის შემთხვევაში ვებსაიტიდან გამოხვიდეთ log off -ით.

ასევე, პორტალზე შეგროვილი ინფორმაცია შესაძლოა შეინახოს და დამუშავდეს თქვენი მშობლიური ქვეყნის გარეთ, სხვა ქვეყანაში. პორტალის გამოყენებით და თვეთვის თქვენი პერსონალური ინფორმაციის უზრუნველყოფისთვის აცხადებთ თანხმობას ინფორმაციის ნებისმიერ ამგვარ გადაცემაზე თქვენი მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ჩვენ ვახორციელებთ თქვენი პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოების ძირითად დაცვას, თუმცა, ელექტრონული ტრანზაქციების არც ერთი მეთოდი 100%-ით დაცული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, კომერციულად მისაღებ საშუალებებით დავიცავთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია, ჩვენ ვერ გამოვითქვით უსაფრთხოების გარანტიას. ამდენად, პორტალი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას პერსონალური ან სხვა ინფორმაციის მოპარვის, დაკარგვის, ცვლილებების ან ბოროტად გამოყენების თაობაზე, მათ შორის, იმ ინფორმაციის შეუზღუდავად, რომელიც ჩვენგან გადაეცემა მესამე მხარეს ან იმის გათვალისწინებით, რომ მესამე მხარე დაცული არ არის კონფიდენციალურობის განაცხადით ან ხელშეკრულებით პორტალსა და მესამე მხარეს შორის.

## **6. თქვენი არჩევანი**

თქვენ შეგიძლიათ გადახედოთ და შეცვალოთ ინფორმაცია პორტალზე განყოფილებაში "ჩემი პროფილი" გადასვლით. ჩვენ შესაძლოა გამოგიგზავნოთ რაიმე კანონიერად მოთხოვნილი გაფრთხილებები და ძირითადი გაფრთხილებები, მათ შორის, მაგრამ შეუზღუდავად, მომსახურებასთან დაკავშირებული შეტყობინებები ან შეტყობინებები პორტალის ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებების თაობაზე. მაგ. ჩვენგან შეიძლება მიიღოთ შეტყობინებები სერვერის პრობლემებთან ან ვებსაიტზე მიმდინარე გეგმურ სამუშაოებთან დაკავშირებით. საჭირო შეტყობინებების გამორთვისთვის გათიშეთ თქვენი ანგარიში.

## **7. გამყვანება**

ჩვენ ასევე შეიძლება თქვენი ინფორმაცია გავუმყვანოთ სახელმწიფო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ხელისუფლების ორგანოებს ან სხვა პირებს მოქმედი წესების, ბრძანებების, სასამართლო შეტყობინებების, ოფიციალური მოთხოვნების ან სხვა მსგავსი ნორმების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნის ან ნებართვის ფარგლებში.

## **8. შეტყობინებები ცვლილებებთან დაკავშირებით**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენს მიერ თქვენი ანგარიშის უპირატესობების შეზღუდვის შემთხვევაში ჩვენ არ შევცვლით თქვენს უპირატესობებს თქვენი ნებართვის გარეშე. პორტალის სხვა კომპანიასთან შერწყმის შემთხვევაში პორტალისგან მიიღებთ შეტყობინებას. მიმღები კომპანია მიიღებს წვდომას თქვენს პერსონალურ ინფორმაციაზე თქვენი ნებართვის გარეშე.

## **9. დავები**

თქვენს კონფიდენციალურობასთან დავაშირებული დავა არის ამ ხელშეკრულების და პორტალზე წევრობის ხელშეკრულების საგანი, მათ შორის ნებისმიერი დებულება, რაც ეხება კომპენსაციის და ზიანის შეზღუდვებს.

პორტალი და მისი მოხმარების წესები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და უნდა განიმარტოს მის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თქვენ ცხოვრობთ თუ არა და აწარმოებთ თუ არა ბიზნესს ლიბერთი ბანკის მეშვეობით საქართველოში. ლიბერთი ბანკის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი სარჩელი და ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა ან დაკავშირებულია თქვენ მიერ ამ ვებგვერდის წვდომასა და მისით სარგებლობასთან, ასევე ამ მოხმარების წესების დებულებებთან, თქვენ მიერ უნდა წარედგინოს მხოლოდ საქართველოს სასამართლოებს.